ჩემს მიერ იქნა გამოგზავნილი მოთხოვნა

(თქვენს მიერ განაცხადის ნომერი: AR127455 გაცემული გაქვთ მიწის სამშენებლოდ გამოყენების პირობები ნაკვეთზე ს/კ 01.11.12.013.029. რომელიც შემდგომ გაიყო ორ ნაწილად გთხოვთ ბრძანებაში შეიტანოთ ცვლილება) განაცხადით AR1229601

რაზედაც მოგვწერეთ შუალედური პასუხი

თქვენი განცხადების პასუხად, რომლითაც ითხოვთ #68429 (06.03.2012) გადაწყვეტილებით მომზადებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში შესაბამისი ცვლილებების განხორციელებას, გაცნობებთ, რომ წარმოდგენილი მიწის ნაკვეთი გამოიყო ტერიტორიიდან, რომელზეც სამსახურის მიერ პოლიკლინიკის ასაშენებლად შეთანხმდა არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა – ბრძანება #159891 (18.05.2012). იმ შემთხვევაში, თუ დღევანდელი მდგომარეობით ობიექტი არ არის ექსპლუატაციაში მიღებული, თავდაპირველად ცვლილება უნდა განხორციელდეს #68429 (06.03.2012) გადაწყვეტილებით მომზადებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში მხოლოდ #01. 11.12.013 035 საკადასტრო ერთეულის დაფიქსირებით, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ ობიექტი უკვე მიღებულია ექსპლუატაციაში, წარმოდგენილი უნდა იქნეს მისი ექსპლუატაციაში მიღების დამადასტურებელი დოკუმენტაცია. მხოლოდ აღნიშნულის განხორციელების შემდგომ იქნება შესაძლებელი ახალი ნებართვის გაცემაზე მსჯელობა.